რომელმან _ პირადი შემოსავალი გაიდიდეს ათასჯერ, რომელმან _ პური

გაგვიძვირეს ათჯერ, რომელმან _ ფულადი შემოსავალი შეგვიკვეცეს ათჯერ;

გონება დარეხვილები ასეთები თვითმკვლელებში «კამიკაძეებშიც» კი ვერ

მოიძებნებიან.

არჩილ ბიჭაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტი:

რ-რას არ გაიგონებ ჩემი ქართველობის შესახებ ააა!

შინაგან საქმეთა მინისტრი:

ბ-ბატონო პ-პრეზიდენტო გ-გთხოვთ გ-გამამგზავროთ მე შ-შეერთებულ შტატებში

კვლევალიფიკაციის ასამაღლებლად,

რ-როდის აქეთ მოგივიდა ეგ აზრი?

ზზ-ზურაბ ჟჟ-ჟვანიასთან უკანასკნელი ინციდენტის შემდეგ ბატონო პპრეზიდენტო.

შ.ს. მინისტრი

ვანო მერაბიშვილი

2003 წ. სპექტაკლი № 1

მიხეილ სააკაშვილი: გეყოფა! გადადექი! ედუარდ შევარდნაძე



დიახ, თვრამეტწლოვან ჭაობში ჩაყურყმავებულ ერს-იქნებ მოგვესინჯა და იმის გამოცდილებაც მიგველო თუ რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ლეიბორისტული პარტია. შალვა ნათელაშვილის სახით,



შალვა ნათელაშვილი

საქართველოს ლეიბორისტული _ შრომის პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი

საკმაო ხანია აფრთხილებს სახელმწიფოს სათავეში მოქცეულ პირებს... მოეგონ
გონს, ჩამოყალიბდნენ და მოერგონ ქვეყნის _ მოსახლეობის მოთხოვნილებათა
გარდუვალ სამსახურს;

დიახ, ნაწილმა ქართველთა ვერა და ვერ აითვისა ელემენტარული მცნება.

სამშობლოსადმი პატივისცემა და სიყვარული, მიუხედავად იმისა, რომ აქვს
არაერთგზის გამოცდილება საუკუნეების მანძილზე სხვა ერისაგან, სომეხთაგან,
რუსთაგან რომელნიც, შესაშური შეუვალი ტრადიციებით იყენებენ ჩვენი მხრით

მიმტევებლობა-დოყლაპიობას პირადი მდგომარეობის გაფართოების-გამრავლების მიზნით,
ზუსტად იმათ ხარჯზე, რომელნიც არარად აგდებენ საკუთარ დედუღეთის საკუთარ მამუღეთის
ისტორიულ ღირებულებებს;

დიახ, სტირიან სულმნათნი

ქართველნი დიდნი:

«არწივი ვნახე დაჭრილი

ყვავ-ყორნებს ეომებოდა»

«მუმლი მუხას ეხვეოდა

ყორანივით დაგვჩხავოდა მტერი»

მიაძახოს უნდა ნორმალურად მოაზროვნე ქართველმა _ ვაი თქვენ და შავი
ქვაო, თუმცა, სცალია ამისათვის? რომელი არის შავი ქვის მიმრთმევი იმათთვის,
ვინც ასე უსაშველობაში ჩაგვაყენა ჩვენ... რომ, პირაქეთ სომეხთაგან,
რუსთაგან, სხვათაგან შემოთავაზებულ გროშის _ ხელის ჭუჭყის სანაცვლოდ მზად
არის განახორციელოს იმათი სურვილები, გაანადგუროს საკუთარი ისტორია,
გადახნას და გადაფარცხოს საკუთარ მამა-პაპათა საფლავები, მოახდინოს თავისივე
ერის ლიკვიდაცია, აი ამას ტირის სულმნათი ილია, «ქვათა ღალადში».

დიახ, თუ ქართველს შერჩენილი აქვს სურვილი პრეტენზიისა _ ქართველი ვარო...

ერთხელ მაინც, ან კიდევ ჩაიხედოს უნდა ილიასეულ სახარებაში, ჩაიხედოს
უნდა მაგრამ... «შეაყარე კედელს ცერცვი, შეაკავდება?» «მგლის თავზე სახარებას
კითხულობდნენო, მან კი მაცალეთ ცხვარი გამექცაო»...

არჩილ ბიჭაშვილი.

დიახ, რუსეთ-საქართველოს შორის გალაჯულმა ე. შევარდნაძემ ზოგიერთ


ქართველს მოაწონა თავისი შუა ნაწილი სანაცვლოდ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის
ბედისწერისა, რადგან, მათში პირველ პლანზეა არა სამშობლო, არამედ
პირადი მეობა, აკი ამიტომაც მათი ოჯახებიდან უზნეონნი-უსუსურნი მოგვევლინენ
ქვეყნის სათავეებშიც კი.

არჩილ ბიჭაშვილი.

ვარდების რევოლუცია



ახალი საქართველო



ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი
წილნაყარია ღმერთთანა,
თავისუფლება დღეს ჩვენი _
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
ამოდის და
ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას
თავისუფლებას დიდება!
დავით მალრაძე.

ტექსტი კარგია, არ მომწონს კომპოზიცია.

არჩილ ბიჭაშვილი.



საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

2003 წლის ეგრეთწოდებული «ვარდების რევოლუცია»

საქართველოში

ვარდში ეკალი შევნიშნე

არც განტევების ვაცია,

არც ჭორად თქმული «ნაცია»,

მომავლის რწმენით მოვიდა

ჯერ ახალგაზრდა კაცია,

არც განდიდების კაცია,

არც წუწკი ქურდბაცაცია,

ჩვენი ჯილაგის შვილია

ის ნორმალური კაცია,

არ უყვარს სპეკულაცია,
ვერ მართავს უცხო რაცია?
მომავლის ინტერესი აქვს,
არ ელის ემიგრაცია,
მაღალი, განათლებული
ერის ნამდვილი კაცია,
არ ითხოვს ვაქცინაციას
არ ითხოვს ადაპტაციას,
არ უყვარს მელა-კუდობა
არ უყვარს ჭკუა-ბაცია,
ვაცალოთ, ცოტა ვაცალოთ
ის თბილისელი კაცია,
ვაცალებთ, ფურთხიც გავცვალებთ
«ჩარეცხილების» ნაცია
ველურ მოცარულ ჩალისმგვნად
მიგვათრევს დეგრადაცია.

არჩილ ბიჭაშვილი

2008 წ.



პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე

საქართველოს პარლამენტარები ქალაქ თბილისის «დეზერტირების» ბაზრის მოვაჭრეებს გვანან.

არჩილ ბიჭაშვილი.

2003 წ.

ნინოს

ქალო ასულო, დალალ დართულო
მზის თითისტარზე ოცნებებს ვართავ!
ქალ წინაპართა ქალთან აღქმულო
შენი სამშობლოს იმედის კართან,
ვიდრე მანდილი მტკიცეა შენი
ზოგთა სხვა ქუდზე მამათა კაცთა
რომ განდიდების სენს არ გთავაზობთ
ნურც შეჩერდები მიღწეულ ზღვართან,
სიყრმის აკვნიდან დედის ლეჩაქით
ვიცით ფიქრებით ბევრი რამ დაგყვა,
რომ ერთ დროს შენი დიდი სამშობლო _
დღეს შენი ერის ქვეყანას არ ჰგავს,
ტოლერანტობით წონასწაორობის
პოზიციიდან განდგომის გარდა
შენი სამშობლოს სადარაჯოდან
ჯერ შენს მამიკოს მოხსენი ფარდა.

არჩილ ბიჭაშვილი

2008 წ.

ჩვენ საქართველოს სულ სხვა რელსებზე შევაგდებთ



ზ. ჟვანია

პრემიერმინისტრი

მ. სააკაშვილი

პრეზიდენტი

იყიდება საქართველო



კახა ბენდუქიძე

სახელმწიფო მინისტრე

არჩევნები საქართველოში

დღე მიდის და ღამე მოდის

ჩვენი ბედი არ ამოდის,

რა ვარდები არ დავთესეთ


ვარდის ნაცვლად «...» ამოდის?

იქნებ ვცადოთ, შევაბრუნოთ _

იქნებ რამე გამოვიდეს
ვარდის ნაცვლად «...» დავთესოთ!
ვინძლო ვარდი ამოვიდეს!
«ქართული ლექსიკონიდან».



„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა”



სიცოცხლე
პლანეტის
ნებაა

სამშობლო

გთხოვ, მომიტევო დედაო,
სალამი დაგიგვიანე,
ცოტა ჩამუხლვა მომინდა
დადლილ ვარ ბევრი ვიარე.

არც ისე ხეიბარი ვარ
ვიშუშებ მცირე იარებს,
ისევ ისეთი შვილი ვარ
ჭირ-ვარამს გაგიზიარებ.

არ დაიდარდო დედაო,
შენეულს შემეხმიანე,
მუხლის მოდრეკვა მომინდა
სიმღერა დაგიგვიანე,

შენს სადღეგრძელებლად დედაო
ისევ დავავსებ ფიალებს,
უფალ ღმერთს შევეხვეწები,
შენს მიწას დავამზიანებ,

ნუ დაღონდები დედაო,
ხარობდი მუდამ იხარებ,
სარკმელს სანთელი გინათებს
გულს დარდი გადაიყარე,

ისევ მივხედავთ შენს ბალებს
ყანებს, ველებს და მთიანებს,
შინაურთაგან, მომხდურთგან
მზაკვრულად განატიალებს,

დიდი რუსთველის ნაკვალევს
ნიადაგ შევეხმიანეთ,
დიდი თამარის მანდილი
რამდენ ქალს გაუზიარეთ,

დიდი დავითის ქვეყანას
ვერა, ვერ გავატიალებთ,
ჩვენ ჩვენი წმინდა დროშა გვაქვს
აქ სხვას ვერ ავაფრიალებთ,

არ დაიდარდო დედაო
შენი ღიმილი გვაჩუქე,
დილით ცვარნამი ასხურე
ყვავილებს შენს სატაცურებს,

მზეო, ნათელი გვჭირდება
სხივები გადმოგაყარე,
ჩვენ რომ სამარეს გვითხრიდა
იმათთვის ვეძებთ სამარეს,

ვერა, ღვთისმშობლის ხვედრ მიწას
სატანებს ვერ მივაბარებთ,
მამა-პაპათა საფლავებს
ბინძურებს ვერ მივაკარებთ,

მზე წითლად ამობრწყინდება
სულ მალე გაიზაფხულებს,
ნაზი ვარდი და ბულბული
შენს ბაღში დაისადგურებს,

წყალნი წავლენ და წამოვლენ,
შენს ქარხნებს ავაგრიალებთ,

ვინც უმოწყალოდ ანგრევდა
იმათ ჩვენ დავაზიანებთ!

მოვა ახალი თაობა
ქართული სისხლის, პატარებს
პირწმინდად ჩაურაკრავებთ
როგორ ბურუსში ჩაგვყარეს

ყოველი მსხვერპლის სანაცვლოდ
ია და ვარდი იხარებს,
ცისმარე დღეზე ვილოცებთ
უფალო, შენ დაგვიფარე!

ვაზი, რომელიც ვახარეთ
ისევ ის ვაზი გვახარებს,
ჩვენ რომ ნარინჯი ვახარეთ
ჩვენ ის ნარინჯი გვახარებს,

ვაზო შვილივით ნაზარდო
შენი ნაყოფი გვაპკურე,
შენი «ჩაკრულო» გვამღერე
ყველა ჭყვივილი დათრგუნე,

ჩვენ რომ ჩონგური ვისწავლეთ
დედავ! რამდენი ვიარეთ,
ჩვენ რომ ფანდური ვისწავლეთ
დედავ! რამდენი ვიარეთ,

სალამური რომ ვისწავლეთ
დედავ! რამდენი ვიარეთ,
ჩვენი ქართული ფოლკლორით
დედავ! რა დავატრიალეთ,

ჩვენი ქართულით სიმღერით
მსოფლიო შემოვიარეთ,
მშობლიურ სიმის სანაცვლოდ
ვერა გზა დაგვაფრთიანებს,

მომინდა მუხლის მოდრეკა,
სალამი დაგიგვიანე,
შენს სადღეგრძელებლად დედაო
ავავსებ ყველა ფიალებს.

გვაცალე შენი ფოლადი-
ჯერ კიდევ როდის ავლესეთ,
სულ წმინდად მოგამკვევინებთ
შენი გენების ნათესებს,

და, ისევ აჟღერდებიან
შენი ბრინჯაოს ზარები,
შემოჰკრავს თამარის ზარიც
განიხვნებიან კარები!

არჩილ ბიჭაშვილი.

საქართველოში წიგნის მაღაზიები
იხურება.



„მოგონებანი”

სექსუალურმა მოთხოვნილებებმა წიგნზე მოთხოვნილებები გადაფარა.

არჩილ ბიჭაშვილი.



ჩემი ჩემებრ არვინ იცის,
რა მამწარებს, რა მატკბუნებს,
ცუდთა კაცთა საუბარი

კაცსა მეტად დააჰმუნვებს.

შოთა რუსთაველი.



თამარ მეფე ვაზირთ შორის

სიზმარი სინამდვილისა

ცხადად ვნახე ერთხელ მიღში
და მე ხოტბას არ ვაპირებ,
შემაჟრჟოლა, დავმაბუნდი
თვალნი კრთომვით გავახილე,

და რა ვნახე: ვაზირთ შორის
ტახტზე იჯდა დედოფალი,
ცნობის ჟინით დიდხანს ვჰკვრეტდი
დ... მესახა თამარ ქალი;

„მარცხნივ იყო თინა-თინი,
მარჯვნივ ნესტან-დარეჯანი”,
წარდგომილი მუხლ მოდრეკით
იყო დიდი ის მგოსანი,

ხელთ ეჭირა ფუცელთ გვერგვი
ძღვნად, მზე ქალთან მისატანი,
ალბათ იყო მიჯნურ კერპისათვის
წიგნი-»ვეფხისტყაოსანი»,

ვჭვრეტდი, წამით ვიხილე რა
გარინდულნი, კარის _ სპანი
მოკრძალებით ხელ გაწვდილი
საქართველოს დედოფალი,

მგოსანს სთხოვა: გადმომეცი
ძღვენი, შენგან მონატანი,
სახიერი ქართველ ერთვის
მიჯნურთ შორის შენგან თქმანი,


და, მგოსანმა მოწიწებით
წარუმართა ლექსად ძრვნანი
„ავთანდილ და ტარიელსგან”
რაინდობით-საქმის ჰქმნანი,

ცხადი არის, თუმც მემინა,
ფლიდობაა აზრი სხვანი,
ასე შედგა წინაპართგან
ის ქართული პაემანი.

არჩილ ბიჭაშვილი.

1975 წ.

ძველი თბილისი



ნარიყალა

«ჰო და ამბობენ ლეგენდას
რატომ დაგერქვა თბილისი,
ზღაპარია თუ ნამდვილი,
ვინ მოიგონა ვინ იცის».
თბილისური.

თბილისი

«გულით მინდა, რომ გიმღერო,
ჩემო ტკბილო საქართველო!
საქართველოს დედა ბურჯო,
შენ! თბილისო მშვენირო».
თბილისური.



ჩემი თბილისი

მე ისევ ჩემი თბილისი მინდა,
ჩემი მეტეხი დავითის ზარით,
მე ისევ ჩემი მთაწმინდა მინდა,
ნათელი ღამით, მტკვართ ლოტბართ.

მე ჩემი თბილისელები მინდა,
გულით ერთგულით, თვალით ორთვალით,
მე თვალზე ცრემლი შევიშრო მინდა
შემოვაბრუნო ბედის ბორბალი.

გრძელი ჭაპანის დაწყვეტა მინდა
ქვესკნელისა და ყრუჭის გორგალის,
და, მე ხმამალა ვიყვირო მინდა
უსაშველობა კარზე მომდგარი.

მე იმის კარგად დანახვაც მინდა
საითკენ გორავს ქვეყნის ბორბალი,
იმ ქართველების შეცნობა მინდა
ვინც დაიჭემა საჭე მომავლის.

და, თუ ხონთქარის დამარცხვა უჭირთ,
მჭერმეტყველებაც აკლიათ, თვალიც,
იქნებ ის დიდი დავითი გვინდა,

ან და ის დიდი თამარი ქალი.

მე ჩემი სარწმუნოება მინდა
ქრისტეს აღდგომით, ქრისტეს მომავლით
ისეთი თავისუფლება მინდა
თავის უფალი ქრისტე რომ არის.

ჩვენ ვერ მივხედეთ საკუთარ მიწას,
ჩვენი ბრალი, იქნებ ვართ მხდალნი?!
პოპულისტობა პრესტიჟად გვექცა
პრო ამერიკულ ქართული ჯარით.

ჩვენ ვერ მივხედეთ არა მარტო იქ
სადაც ნარინჯის წალკოტი არის,
ხომ არ გვეცლება მიწა ქართული?
ორპირ ქართველთა ზურგზე შემდგარი.

ვინც არად აგდებს ეროვნულ ყოფას,
რომ სავარძლებით ფულით და სკამით,
რომ ჩვენი სივრცე ვერ აღვადგინეთ
დაბნეული გვაქვს ჩვენ გზა და კვალი.

სოფლელი როდის მიხედავს სოფელს,
ქალაქელმაც რომ უარჰყოს მყრალი,
როდის ვასწავლით ჩვენ ყველა მომხდურს
მათთვის სანაგვე სად და სად არის.

მე ისევ ჩემი თბილისი მინდა,
ჩემი მეტეხი, დავითის ზარი,
მე ისევ ჩემი მთაწმინდა მინდა
ნათელი ღამით, მტკვარით _ ლოტბარით.

არჩილ ბიჭაშვილი.

2004 წ.

გზა კაცური,
გზა ჩვენეული.



გზა მოვნახოთ

მე კაცი ვარ, არა ცვარში უდღეური ლოკოკინა,
მეც მაქვს ჩემი სოფლის ჭრილში კუთვნიული ჩემი
ბინა,

რასაც გითხრობთ უზენაესს ჩემსას ვკითხე,
ჩემეული თითონ გეტყვით ვარ თუ არ ვარ, ან ვარ
ვინა.

გულში უფრო ის მაწუხებს, რაც არ ვიცი,
დიპლომანიც გზას რომ მიბნევს ცოდნის წილად,
განათლების სიღარიბის გრძელ უფსკრულში
მიჭირს ხედვა, მიჭირს ხედვა, მიჭირს ხილვაც.

მე ცხოვრების დამტვრეულ გზას ვასწორებდი,
მოკლე იყო, მაგრამ მძიმე, დამიღამდა,
ჩემეულად _ თირქვას არა, გარანტს ვდებდი,
სამოცდაათს ვეზიარე, ეს დროც ასე გამივარდა

ხან გაგებას შევეკითხე, რისთვის გავჩნდი?

ან რა ვარგე ამ ქვეყნიურ კაცურ შვილებს,
თუ კი მართლაც ჩვენ დღეს გვეყვანან ასეთები
სამოცდაათს ერთხელ კიდევ დავაპირებ.

თუ მარჯვენა გამომადგა მე შრომაში
ეს _ ჩემი ნიჭის შედეგია, ვეტყვი წყვილებს:
თქვენი გზების არსებობით მომავალში
მომიტევით, მიპასუხეთ რას აპირებთ?

ზემოდან არ ჩამოგივათ პურის სარჩოდ,
იქ საჯდომი ეგოიზმის არის ბუდე,
მთელ ასეულ, ათასეულ გადასახედს,
ძველთაგანვე მხვეჭელობის მანკი უდევს.

თუ მოვძებნით ისტორიის ნაგლეჯ ფურცლებს
დღევანდელი ძველთან მართლაც მხდარი არის,
იმ დროისთვის პირველ კაცთა განკარგვაში
არა ოქრო, არა ფული, საკუთარი თავი არის.

როცა მართლაც დიდ ქვეყანას ვაშენებდით,
დიდ ბედელში ვერ ნახავდით ქურდულ ბარდაგს,
ორიათას ტონა ოქროს «**მ.ზ.ც**» ედო
ხალხის ნება და მორალი წმინდა საზღვრად.

რომ პრორუსულ სსრკ-შიც არ გვშიოდა,
მაინც ხარბად ატლანტისკენ გვექონდა თვალი,
ვაი ღმერთო! პესიმიზმის მონად ვიქცეთ და
ამერიკულ სპირტში ვნახოთ მომავალი.

არჩილ ბიჭაშვილი.

2009 წ.

დიპლომიანი

მუზობლის ეზო-კართან მელაპარაკება დედა,
რომ: შვილმა დაამთავრა პრესტიჟული ფაკულტეტი,
მიიღო მაგისტრი წოდებაც,
იქ სალორეში ჭყვირის მშვიერი ღორი
არ ესმის დიპლომით მხედვარს,
რომ, ამ ზამთარშიც უხორცო ბორშით _
მას გამოკვებავს ისევე დედა.
არჩილ ბიჭაშვილი.

დიახ, საბჭოეთის პერიოდში, სინდისიერი, სოციალიზმის პირობებში აღზრდილი
ჩვენ მოზარდი თაობა სიყვარულს ვხსნიდით შრომით, უანგაროდ, ფულის
და საროსკიპოს გარეშე
ასე:

ლედი

ჩემი კლასელი, 1952 წ.

შენმა მზერამ მომხიბლა,
შენმა სახის მიმიკამ,
უხილავმა ყვავილმა
შენი უბის ხსნილიდან,
მშვენიერო ასულო
და ქურდულად მდუმარევ,
არც ვარდების სადარო,
არც უვარდოდ მდულარევ,
აი რას გთხოვ ძვირფასო
ჩემი ლექსის ხსნილიდან,
სიყვარული მაჩუქო
შენი გულის წილიდან.
არჩილ ბიჭაშვილი.

რაჭველების ნათქვამი

წითელი ღვინო დავლიე
ხიმშური ვენახისაო,
ისეთი გრძნობა გამიჩნდა
მადლი ვიგემე ღვთისაო,
სიმღერაც დამაწყებინა
ქრისტესშობისა დღისაო,

კვაცხუთის ღვინოც დავლიე
ბაბუაჩემის ხნისაო,
ფეხის წვერებზე მაცეკვა
მუხლი შემექმნა მგლისაო,
მგელობა რა ჩემი საქმეა
არც ჯავრი მიყვარს მტრისაო,

ხვანჭკარის ღვინოც დავლიე
ალექსანდრეულისაო,
«მრავალჟამიერ» მამღერა
რაჭული სუფრულისაო,
იმ ხვანჭკარელის მარანში
მუზა გახურდა სმისაო,

რაჭველებს უთქვამთ: სუფრაო
უქალოდ არა ღირსაო,
ქალნი ორპირულს მღერიან
როგორც ლაშქარი მთისაო,
ომის სამზიდი ლაშქრული
მათ რჯულში არა ზისაო,

მე ხომ ამ კუთხის შვილი ვარ
მისი მიწის და მხრისაო,
მისი ზურმუხტი მთა-ბარის
მისი ღამის და დღისაო,
ვერ დავივიწყებ ვერაფრით
წასული დიდი ხნისაო,

თუმც წუთისოფლის შვილი ვარ
გაჩენილი ვარ ღვთისაო,
რა ვიცი, რამდენს ვიმღერებ
რომ გულიც შევძრა ქვისაო,
მაღალი ღმერთი მიყურებს
ესეც ერთ რამედ ღირსაო.

მე ვარ ქართველი, რაჭველი,
არც ისე დიდი ხნისაო,
თბილისელების გაზრდილი
მთაწმინდა ვარაზისაო,
რალაც რალაცას ვიხსენებ
ზოგს ჩემგან ზოგს სხვა გზისაო
არ შემიძლია წუნდება
აზრი აჯობებს სხვისაო
და, აქვე მინდა დავსძინო-
ნათქვამი:
პოეტი ჭელიძისაო:
„გვაქვს დასაკვებნი ურიცხვი
სხვა მხარეს ვერსად მოძებნით,
ჭურში რომ უდულს ხვანჭკარა
ჩემი პატარა რაჭაა
მთელს ამერიკას იყიდის
სინდისით პატიოსნებით.”

არჩილ ბიჭაშვილი.

2002 წ.

იხარე და იყვავილე
აფხაზეთის მთავ და მდელოვ,
საქართველოს თაიგულო
შენ სოხუმო საყვარელო.
არჩილ ბიჭაშვილი.



აფხაზეთიდან დევნილებს

ჩემს ძმებსა და დებს
მათ შვილებს და შვილიშვილებს
თბილისელი, რაჭველი
არჩილ ბიჭაშვილისაგან

გულში ცრემლი ჩაიღვარა,
ადარ ვიცი, რას ვაპირებ,
რატომ გამოვემშვიდობე

ძველ, გიენოსს _ ოჩამჩირეს,
იმ უძველეს ქართულ მიწას,
სოხუმს, გაგრას, ზღვის ნაპირებს,

გულს მიჩხვლეტავს სინანული,
სიტყვას იტყვის მატთანე...
საქართველოს აფხაზეთი _
როგორ დაანაგვიანეს,
რომ ჩვენ მკვიდრნი აფხაზეთის,
დაგვითხოვეს, გამოგვყარეს...
რომ აღრეულ უცხო ტომთან
ჩვენ კერა ჩაიბარეს,

გულო ჩადექ საგულესა!
რამ ჩააქრო შენი მთვარე,
ღმერთო რამ გზის შესატყვისით
უარჰყოფენ ქართულ გვარებს,
რომ უშველო, მე სამშობლოს
აფხაზეთის ძირძველ მხარეს
მიუშვერდი გულის ფიცარს
ტყვიებს მტრისგან დანაყარებს,

უკვე მილიონჯერ ითქვა:
გვიკეტავენ ჩვენ-ჩვენ კარებს,

გვიბილწავენ ტაძრებს წმინდას,
ქრისტიანულ სალოცავებს,

მე ფიქრებში ბოღმა მახრჩობს
ამ თოთხმეტი წელის მნახველს,
ეგრისელთა შთამომავალს
აფხაზეთის ნამდვილ ქართველს,

რომ, ნიადაგ ქართველთ მიმართ
ჩრდილოელებს ბოდმა უდევთ,
როგორც ეხლა ისე წინათ,
როგორც თურქებს ისე რუსებს,
მე კი ვითხოვ თავ-კაცებო,
თვალი ფართოდ გაახილეთ!
თუ მოსისხლეს სისხლი უნდა
და, ჩვენ ამას არ ვაპირებთ.

არჩილ ბიჭაშვილი.

2003 წ.



ქალი რაჭველი



რაჭა,
მორალის
სინდისის
სიმბოლო.



რაჭაში ვერ მოიძებნება
სალოცავის დამფუძნებელი
თახლით-ბიძნესმენი

ასეთ ბიზნესს?
რაჭა ვერ დაუშვებს, ათაშანგის-შიდსის
გამავრცელებელ საროსკიპოს
არჩილ ბიჭაშვილი.

ქალი რაჭველი
გედის ყელივით მოხდენილს
ქალს უცქეროდი ბანზედა,
თვალნი უგავდა თეთრ ღვინოს
ნაწნავი ეგდო მხარზედა,
უცქეროდი და ვიცანი
ნაზი ქმნილება ხმაზედა,

ეს ის ქალია, როგორც
ცოტაა ქვეყანაზედა.
უყურეთ, კარგად უყურეთ
ბაასი არის რაზედა
აი! ეს ქალი ბიჭებო!
არ გაიცვლება სხვაზედა,
ყველა სხვა განძი, საუნჯე
მოჩვენებაა ძალზედა,
მისი ზნეა და სინდისი,
რაც ფასობს ქვეყანაზედა.
არჩილ ბიჭაშვილი.

ქართლი-
ჩვენი საქართველო



იქ სადაც იშვა შრომის სამართათალი

ჩემი გორი ქართლის გული
ციხის ძირთან აგებული,
აღმოსავლეთ დასავლეთის
ფიანდაზად დაგებული,

საქართველოს სიამაყე,
საქართველოს სიყვარული,
წარსულით დამძიმებული
ციხე ცამდის აზიდული.

ძველი გორის მატთანე,
ბებერი და გარუჯული,
სიტყვას როგორ ვაგვიანებ
გახეთქვამდის მიბგერს გული.

მთელს მსოფლიოს ახმიანებს
აქ ნაწრთობი ბავშვის გული,
რომ სამყაროს კაცად იქცა
ძალით მისი მაგიურით,

რომ ვერ დამადარდიანებს, მავნე
შინაური, გარეული,
უთვალავი რწმენა მიცავს
და... მორალი წმინდა სულის.

რომ ქვეყანას აღარ ყვანან
მეურნენი, მზარეულნი,
პურის შემდეგ სკამს გახრავენ
ლაცაფისტნი ყბად ქცეულნი.

დავივიწყეთ პურის მადლი,
მოგვისპია ყანეული,
დავივიწყეთ ღვინის მადლი
მოგვიშლია მარნეული.

ელინისტის სიტყვა გვინდა
ღარიბის და თვით მეგზურის,

ქვეყნის ბელელს ვინც იცავდა –
მომჭირნე და მტერთან მტრული.

მთელს მსოფლიოს ახმიანებს,
აქ ნაწრთობი ბავშვის გული,
რომ სამყაროს კაცად იქცა
ძალით მისი მაგიურით;

მე ასეთის გამჩენს ვფიცავ
თუნდაც ასჯერ ხანდაზმულის,
საქართველოს სახელს ვფიცავ,
ჩემი გორის სიყვარულით.

არჩილ ბიჭაშვილი.



ჩემი ჩემებრ არვინ იცის,
რა მამწარებს რა მატკბუნებს,
ცუდთა კაცთა საუბარი
კაცსა მეტად დააჭმუნვებს.

შოთა რუსთაველი.

მესხეთ-ჯავახეთი

იმ დიდი მშობლის ჭირიმე
ვინც იქ აკვანი არწია,
ვინც შემინახა მესხეთი და...
ვინც მაჩუქა ვარძია.

მესხი მელექის ჭირიმე
ის მანუგეშებს დარდიანს,
სიცოცხლის ელექსირივით
გულში უქრობლად ანთია.

მესხეთი, ჩემი მესხეთი,
ვარძია, ჩემი ვარძია,
რომ იმ ძველ ქვათა ღალადში
უბრალოდ ჩემი განძია.

ყოველი ადლი და გოჯი
რომ _ ჩემი მიწის ფართია,
რომ, ყოველი ქვის ჩუქურთმა
დიახ _ რომ ჩემი ხატია.

დიდ წინაპართა ნაკვალევს
ჯილაგის კვალი ატყვია,
იცოდეს გზა დაბნეულმან
ვერ მომიჩმახავს ზარ-ზიანს.

მივიღე როგორც კეთილმან
არც ისე დიდი ხანია,
მას რომ დაუწვეს კერია
თავს დაანგრიეს ბანია.

არჩილ ბიჭაშვილი.

1978 წ.

სტუმრად მესხეთში

1978 წ-ში სტუმრად ვიმყოფებოდი ახალციხის რაიონში, ქართველების ოჯახში, სუფრასთან ისხდნენ სომხებიც; მე ვიმღერე «თბილისო _ მზის და ვარდების მხარეო» ამ დროს სომხებმა მთხოვეს მათ ენაზე მემღერა,

ვიმღერე:

ერევანი სირუმ ტლაია

უნქერეთ კამარ...

ასტათ ვიდემ ორწინველემ

ელი ერევან!

რასაც მოჰყვა: ლავ-კაცა, ლავ-კაცა... არჩილ ჯან შენი მამა სომეხი იღო? «ცავატანემ».

ცნობილია, რომ კავკასიაში საქართველოს უჭირავს ინტერნაციონალის პირველი

ადგილი, რაც ქართული დუხჭირით აიხსნება; 1988 წელს სსრკ-ს პირველმა პირმა

მ. გორბაჩოვმა სომეხ დეპუტატებს შეხვედრისას ყარაბახის კონფლიქტთან

აზერბაიჯანის მიმართებაში განუცხადა: სომხეთში ეთნიკური მოსახლეობა თითქმის

არ არსებობსო _ «ზნაჩიტ ვიჟიმალი».

დიახ, მე მშურს სომხებისეული სამშობლოსადმი ერთგულება.

დიახ, დღევანდელი გულის ტკივილი ქართველთა _ მათივე დოყლაპიაობის ნაყოფია.





1989 წლიდან სომხები განსაკუთრებული ინტერესით მომრავლდნენ საქართველოს რეგიონში – აფხაზეთში, რომ შესაძლებელია იქ განახლებულ ეროვნულ კონფლიქტებს ტერიტორიალური მიძღვის პროცესებს ერთნაირად შეეწირონ დაპირისპირებული მხარეები, როგორც აფსუა მუამბოხე სეპარატისტები, ასევე მკვიდრი ქართული მოსახლეობა და – თუ ყვავს კაკალი გაუვარდება, სომხები მზად არიან ჩაყლაპონ ის გემრიელი ლუკმა, ამიტომ მათ არჩიეს დაეჭირათ მხარი მუამბოხე სეპარატისტებისათვის, ისინი – სამშობლოს დამცველ ქართველებს თავებს აჭრიდნენ, ამით თამამობდნენ ფეხბურთს ქართველთა მტრის გულის მოსაგებლად, ისინი მიტმასნებულნი საქართველოს აფხაზეთში სეპარატისტებთანაც, სომხური ბატალიონით «ბაგრამიანი», რომლებიც დღეს ორჯერ სჭარბობენ იქ აფსუა სეპარატისტულ მოსახლეობას – ჭკუნაკლები აფსუა სეპარატისტები ვერ საზღვრავენ რა შედეგს მიიღებენ მათგან, სადაც უკვე აღარ ცხოვრობს არც ერთი ქართული ოჯახი, ქართული – რომელთა იმედით და გვერდში დგომით ისინი – აფსუები არაერთხელ ყოფილან დაცულნი ქართული მეგობრული ხელით საუკუნეების მანძილზე, ეხლა კი ისმის კითხვა: ვის დარჩება ზღვისპირა ზურმუხტის ზოლი – ქართველებს, სომხებს თუ გზადაზნეულ აფსუა სეპარატისტებს, წინ – წევს პირდაღებული ურჩხული «რუსეთი», რომლის ცოდვის წილიც კონფლიქტურ რეგიონებში ლომის წილის ტოლია, და რატომ: გიგანტური სახელმწიფოს სსრ კავშირის რღვევა ხომ ლამის ჩვენ დავიბრალეთ იმ დოღრიალობებით, თითქოს და მსოფლიოს დასანახად ჩვენ გავხდებოდით გლობალური პროცესების დამტრიალებელნი, როდესაც გაჰყვიროდნენ: ძირს

რუსიფიკაცია, ძირს ამერიკის პრეზიდენტი ბუში, ჩვენ ბორჯომი და ჩაი გვაცხოვრებს, არ გვინდა სსრ კავშირის ქონება _ ფაბრიკა-ქარხნები, არ გვინდა გესები _ «ხუდონი», «შაორი!»
ვინ იყვნენ ისინი, «მწვანეთა პარტიიდან?» ვინ აფინანსებდათ მათ, პარალელურად კი ბატალიონ «ბაგრამიანს... აფხაზეთში?»

არჩილ ბიჭაშვილი.

«არ დაიდარდო დედაო»



ერეკლე მეორე

მის ხმაღს

ქარქაშისათვის

არ ეცალა...

«24 ივლისის 1783 წ. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რუსეთთან საქართველოს დასახლოვებლად _ აუცილებელზე მეტად აუცილებელ მოთხოვნის ემყარებოდა».

XVII საუკუნე

ეს ჩვენი მეფე ერეკლე
ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩააცვს
გაჰკრა ხელი და გახია.

XVII საუკუნე

«ალაზნის თავსა, კლდის თავსა,
სისხლის წყარონი დიანო,
არა სმენს მონადირენი
არც როდის დაშრებიანო,
ის ურჯულონი ლეკები
სასმელად გადმოდიანო».

ძველ-კახური

ივანემ ხმალსა ჩასძახა:
ხმალო ამოდი, ტიალო,
ივანე გასაჭირშია
ლეკები თავსა სჭრიანო.

კახეთი თბილისელის თვალით

თბილისიდან ერთი ადლით
გომბორის გადასახედით.
მოსჩანს პატარა სამეფო _
ერეკლე მეფის კახეთი,
ქართველთა ერთი ნაწილის
ამომავალ მზის სამხრეთი.

ძველ საუკუნით და აწით
ხელი ხელთ ნაგოგმანები,

ჯიშის ჯილაგის მოტივით
კახურად ნაკარნახევით,
ქართული სისხლით და ხორციით
პატარა მძიმე კახეთი.

ის მადლიანი მიდამო
დამშვენებული ზვარეთით,
დამძიმებული ჯაგნებით,
დალალებით და მწვანეთი,
ამღერებული ქვევრებით,
აი იქ გახლავთ კახეთი.

სადაც - სიმღერას იტყვიან
მამათა ძველთა დღისაო,
ზამთარი ხეს თუ დააჰკნობს
ნერგი არ უნდათ სხვისაო,
კიდევაც ამწვანდებიან
ფოთლები გვარ-ჯიშისაო,

თუნდაც დამძიმდეს ზამთარი
დასუსტდეს სხივი მზისაო,
მუგუზალს ცრემლი არა სდის
ბუხარში ღველფი ზისაო,
ცხელ-ცხელი ნანადირევის
შამფურზე ხორცი კრთისაო,
ბერ პაპის ნატყვიარებით
ირმის უღრანი ტყისაო.

წინ ლურჯი სუფრა უშლიათ
უხვი, ბარაქით ღვთისაო,
შეზარხოშებულთ კახურის
წვენით, რქაწითლის ზვრისაო,
ისეთ სიმღერას ამზობენ

კაკალ გულში რომ ზისაო,

როგორც შაშვი და კაკაბი
შაბმულნი მგოსნის ხმითაო,
ბარიტონული კახურით...
მართლაც მოსმენად ღირსაო
ის ძველთა-ძველი ნათქვამი
იქ სტუმარ მასპინძლისაო.

ან და... იტყვიან: ბუხარო
გულ ჩახვეული ნუ ხარო,
რომ შვილმა მამას არ უთხრას
გამცილდი ჩემთან ნუ ხარო,
ასი ათასჯერ კახურად
ერთი ქართულიც უთხარო.

გულჩახვეული ნუ მომკლავ
მე სულ ამას გთხოვ უფალო,
ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე
ცოცხალ ვარ მკვდარსაც მეხაროს
მესმოდეს ჩვენი კახურით:
„გაფრინდი შავო მერცხალო“,

ზეციერო და გენის მდევე!
განა სხვას რას გთხოვ უფალო?
მრავალჟამიერ კახური რომ
შენეულს შემწევს უდარო,
სტუმარი სტუმრად მირჩიე
შვილი სამშობლოს ვუმრავლო.

არჩილ ბიჭაშვილი.



გურიაში

მივალ

მარა

გურიაში მივალ მარა

გურიავ, ჩემო გურიავ,
ჩემო ძვირფასო ნენავ,
შენი სიმები მწყურია
ჩანგი გიკურთხოს ზენამ.

მარგალიტივით ნამულო
გულში ოცნებად ფრენავ,
ირმის გუნდვით მთიანში
სულში სიცოცხლის დენავ.

გურიავ, ჩემო გურიავ,
შენ ჩემი სულის ლხენავ,
დამადნო კაკალი კაცი
მე უშენობით თმენამ,

მოდევარ ჩემო გურიავ,
გზა გასაყარზე ვდგევარ,
მონატრებული დიდი ხნის

მე, შენი შვილი, მე ვარ!

მოსიყვარულე მომაკვდავს
ჩემი სამოთხის კარად
ჩახუჭუჭებით გურულში
შენი გალობა მკმარა,

შენი ხმა მთასა მყვირალი
ჩემთვის დიდი გზის ფარად
დაწოლილს ნასაკირალზე
მექნება ნენავ მარად.

არჩილ ბიჭაშვილი.

იმერეთო!

სავარდო და სამაისო
იმერეთო, იმერეთო...
ჩემო დედავ, ჩემო ღმერთო,
ქვეყანაზე ერთადერთო,

სიცოცხლეზე, ყველა განძზე
ყველაფერზე უფრო მეტო,
მინდა შენი უქრობელი
გულზე კელაპტარი მენტოს.

სავარდო და სამაისოვ,
საყვარელო ქუთაისო,
სამტრედია _ ზესტაფონო და...
წყალტუბო სამეჯლისოვ,
ყველა კუთხე და კუნჭულში
ჩემი გულის ცემაც იყოს;

ვით გელათის დიდ ტაძარში
სვენებულთა სული ითხოვს,
არა მარტო მხოლოდ იმ დროს,
არა მარტო მხოლოდ იმ დროს.

დიდ დავითის ნაკვალევი,
მე მინდა რომ დღესაც ვიგრძნო,
როგორც იმ დროს, როგორც იმ დროს
საქართველოვ დიდზე დიდო!
არჩილ ბიჭაშვილი.

XV-XVII საუკუნე

საქართველოს მთიანეთის
«საპარავის ველი»
ქალები უკიჟინებდნენ:
«ვაჟავ, რას მეგულდიდები,
რა სახელ მოგიტანია.
შენი ცხენი და აბჯარი
ომში როს შეგიტანია
ლეკი როს მოჰკალ ქარელი
ხელი როს მოგიტანია.
ხალხური.

XV-XVII საუკუნე

«ტირიან თუმის ქალები:
არ მოგვივიდნენ ქმარები,
ვაი თუ დაუხვდნენ ქისტები
დააყრევინეს თავები».
ხალხური.

თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი

მყინვართან თოვლი დამდნარა,
კლდეს შეუცვლია ელფერი,
ჯიხვები დანაყრდნებულან
მომწიფებული ნეკერით,

ნისლები დამძიმებულან
ჭირხლიან სალთა ბადენი,
ალპურებს დაჰფინებია
ცვარნამად ჩამონადენი,

ოქროს სხივებით, ღამითა
უთვლავ ისრით მთვარისა
ცა უფრო გალურჯებულა
ვეება მარჯნის თვალითა,

კლდიანზე, ქარაფიანზე
თეთრი გზით ნაიარები
თეთრი ნისლების სანაცვლოდ
მოდიან თეთრი ფარები,
ყოყოჩა წვერა ვაცებით
შაბმულნი ეჟვან ზარებით,

ცხენებზე გუდა ნაბადით
თუშნი, ხევსურნი-ფშავლები,
და, გარს გუშაგი ნაგაზნი
ბომბორა, ჯიღის თვალებით,

ღუღუნა სალამურებით,
მთიელი ტრუბადურები,
ძველ ქართულ კილო კავებით

ბახუსით დანაპურებნი.

აკიაფებულ რიჟრაჟზე
ათასფრად ბრწყინავს მყინვარი
ლაშქრულ მღერიან ჩანჩქერნი
ჭიუხებს ჩამომდინარნი,

ბრჩქოლა მწვანეში ალპურზე
თვალმარგალიტობს ცვარნამი,
ბორბალოს მთების ნასხური
ცისკრიდან ჩამონატანი,

მე საარაკოდ არ ვამბობ,
არც ვინმეს დანაბარებით,
უბრალოდ, აქ რომ იწყება
ჩემი სამშობლოს კარები,

ისწავლონ გადამთიელმან
დამთავრდა დრონი ზარების,
ჩამარხოს თავის ბუნაგში
ძუ მგლური წუწკი თვალები.

ურჩიოთ გადამთიელებს
სჯობია კაცურ გაგება,
რად ვარგა სამეზობლოში
მხეცობა გაყაჩაღება?...

მთის აქეთ შუღლის ჩაგდება...
აბუჩად, კაცთა აგდება?
მიწა უკაცოდ არ რად ღირს
არ გვინდა სისხლის აღება.

არჩილ ბიჭაშვილი.

შენ ბათუმო საყვარელო

(სასიმღერო ტექსტი)

ცის, ლაჟვარდ-ქვეშ გადაშლილო

სანეტაროდ, სანატრელო,

ია-ვარდში გახვეულო

შენ! ბათუმო საყვარელო,

გულით მინდა, რომ გიმღერო,

გულით მინდა გადღეგრძელო,

ჩემო ძმავ და ჩემო სისხლო,

ბათუმელო, აჭარელო;

საქართველოს თაიგულო,

კოლხელების მთავ და მდელოვ,

სხვებთან ერთად, შენთან ერთად

იგიზგიზოს საქართველომ,

დე! კარიბჭე დასავლეთის,

ჩვენი ქვეყნის იყოს ლელო,

ლურჯი ცის ქვეშ, ლურჯ ზღვის გზის შრეს

გვილოცავდეს საქართველო;

გულით მინდა რომ გიმღერო,

შენ ბათუმო საყვარელო,

ჩვენთან ერთად, შენთან ერთად

გაიხაროს საქართველომ!

არჩილ ბიჭაშვილი.

ჩემი სამეგრელო

ნარინჯით დამშვენებულო,

ჩინარო და ნატვრის თვალო,

შენ საქართველოს ჩონგურო
ნანა, ჩქიმი სამარგალოვ,

სკანი სიმი «ართი კოჩი»
ისევ მდერის ისევ გალობს,
მავნე თვალთგან დასაფარო
ნანა, ჩქიმი სამარგალოვ,

სკანი, ჩქიმი გაჭირვება
დღე ნიადაგ სავალალო
როგორც მოვა ისე წავა
წავა, ჩემო სამარგალოვ,

სკანი გულის გასახარად
სკანი გულის სანეტაროდ
შევსვი შენი სადღეგრძელო
ნანა, ჩქიმი სამარგალოვ,

ია ვარდით დაფარულო
მოჩუხჩუხე წმინდა წყაროვ
საქართველოს თაიგულო
ნანა, ჩქიმი სამარგალოვ,

შენი სვე და შენი ბედი
სიხარულით მინდა ვთვალო,
მაღალ ღმერთს ვთხოვ უფრო მეტად
დაიფაროს სამარგალო.

საქართველო ჩემო დედავ
ყველა კუთხემ გაიხაროს,
აღმოსავლეთ დასავლეთით
ასე ჩემმა სამარგალომ,

ხოდა ჩემო მაფშალიავ
იშრიალოს შენმა სარომ,
ეგრისიდან მომავალმა
ია-გუნდმა გაიხაროს.

არჩილ ბიჭაშვილი.

სადღეგრძელო ჩემი ქალის დაბადების დღეზე

სამოცდახუთ წელს გილოცავ
ვერცხლისა მოსართავითა,
სამოცდახუთიც გეცოცხლოს
ბოლოდან, გინდა თავიდან,
შვილიშვილები გიმრავლოს,
რომ გეხვევიან კრძალვითა,
შენი კერია თბილია
შავ დედლის ბუდესავითა,
ღმერთმა გიმრავლოს ჯალაბი,
დაძაბუნება არ გინდა,
ჯანი გავარდეს ბებიკო
თუ გინდ დავიწყოთ თავიდან,
არ მავიწყდება დღეები
როგორ წავიდა გაფრინდა,
თუ დავბრუნდებით მე და შენ
არ დავფიქრდები წამითა,
თუმც მასკარადებს მიქმნიდი
ყოველ ცისმარე ღამითა,
რომ მიმზიდველი ვიყავი
ლამაზმანების თვალითა,
ღვინიაშვილო! გილოცავ

ბიჭაშვილების გვართა,
მოდით ოქროთი დავიწყოთ,
და, დავკორწინდეთ ხვალიდან.
არჩილ ბიჭაშვილი.

«მაშინ ცამეტი წლისა ვიყავი»

ქ. თბილისი

1951 წლისათვის საახალწლოდ.

საშაქარლამო № 2 ფაბრიკაში



1. ირაკლი გორდელაძე, საამქროს უფროსი;
 2. თამარა სავინა, № 2 საშაქარლამო ფაბრიკის დირექტორი;
 3. მაყვალა თედიაშვილი, ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი;
 4. იაგორ კუბლაშვილი, ოსტატი;
 5. კარაპეტ მესროპოვი, ოსტატი;
 6. აჩიკო ბიჭაშვილი, რიგითი;
 7. ელიკო ჭოხონელიძე, რიგითი.
- ტორტის საამქრო გაზეთ «ზარია-ვასტოკიდან».

საშაქარლამო ფაბრიკაში კომკავშირის მდივანმა:

ძუძუებს შორის სპილენძისფერი
მკერდი შემახო ტუჩს და ნიკაპზე
ხელში აიღო სხეული ჩემი და
მიმანიშნა ზუსტად იმაზე...
მინდა გაგემო გოგოსთან სექსი
ურჩი ვნებებით სიტკბო სინაზე;
მოკრძალებული, არა უმანკო
გახედნილ იყო ასაკში, ადრეც...
ის კომკავშირში ნაცადი შანსით
სექსში ქურდულად მიქმნიდა მახეს,
გოგო ლამაზი როგორც თოჯინა
ბრჩქოლა ბიჭუნას თხუთმეტში დამდეგს,
შავი თვალებით, ხვეული თმებით,
მოვარდისფერო ფიფქივით სახე,
მორჩილი ტანიც კოხტა წვივ-ფეხით,
ორმოცდაათ წელს როდესაც ვნახე,
უსწორობაზე ვერაფერს ვიტყვი
შურიანები გვიტეხდნენ სახელს.

ნეტავ სად არის, ან და თუ არის,
თედიაშვილი რომ იყო გვარად,
ჩემს ნაქარგ ტორტებს ისევ მივართმევ
სანთლებით მნათობს ვერცხლის დღის მგზავრად,
თუმც სამოცდაათს მივუკაკუნე
მე კი ამასაც მივიჩნევ არ რად.

არჩილ ბიჭაშვილი.



მღელვარე და მჩქეფარე
ონავარ-გოგოსავითა

მღელვარევ და მჩქეფარევ

მოკუნტრუშე შველივით
მჩქეფარე და მღელვარევ,
ჩემს გულში რომ ნავარდობ,
რა გზით შემომეპარე?

შავ წამწამა გოგონავ,
თვალით მარჯნის სადარო,
რომ არაფერს მპირდები
ვინ უნდა გაახარო?

ყვავილების სადარო,
ეკალივით მჩხვლეტარევ,
მათრობელა სურნელო,
თვალთმაქცო და მეწამევ,

თუ არაფერს იმეტებ,
თუ არაფრით მახარებ,
თუ მოვკვდები ქე-მაინც
ყვავილი დამაყარე.

არჩილ ბიჭაშვილი.

ჩურჩულით მითხარ

რაჭველ ბიჭს ასე უთქვია;
იქნებ ეს ჩემი ბედია,
შენთან ჩამოსვლა მინდოდა,
ვერ საით გამიხედია,

შენ ჩემო ღამის ვარსკვლავო,
გოგოვ შავ თვალ-წარბიანო,
მთვარის ჩასვლამდე მელოდე
თუ მოსვლა დავაგვიანო,

სულმოუთქმელად გადმოვალ,
გავივლი ღელე-წიწვნარებს,
რომ მთვარის შუქზე მოგისწრო
ყელს მოგეხვიო მძინარეს,

მოვალ და ჩაგეკონები,
უბე მთვარეო მზიანო,
ჩურჩულით მითხარ ჩვენს შორის
რა გესიზმრება გვიანო.

„თამარის ციხე კარიდან“



მესტია

წერილი სვანეთიდან აფხაზეთიდან
დევნისს

სვანი ხარ მგელი ხომ არ ხარ
ეული დიდი მთისაო,
ჩინჩხალა წყალით ნაკვები
ხორცით ველური თხისაო,

რა გინდა თბილის ქალაქში
პურსა ჭამ ჯახირისაო,
მალლა მყინვარი გემახის
დაბლა ზღვა ბროლის წყლისაო,

განა ვინ დაიწუნებდა
საყვარელ მხარეს მზისაო,
ვია, დედასა ბიჭებო

ჟანგი მაწუხებს ხმლისაო,
იქნება რამეს ვეწიოთ,
გული დავკოდოთ მტრისაო,

თვალი გვჭირდება ქორისა
მუხლი მამალი მგლისაო,
აბჯარი მამა-პაპური,
გული კი უკვე ქვისაო,

ვერ წაგვართმევენ აფხაზეთს,
ქართველის მიწის წყლისაო.
ვეკუა, ბიჭაშვილების და
აფრასიმეებისაო;

თამარის ციხე კარიდან
რწმენით სვან ქართველისაო
უშგულში მდგარი მუხლის კაცს
რად უნდა შველა, სხვისაო.

არჩილ ბიჭაშვილი.

რაჭველებს

შემოუთვლიათ

რაჭველებს შემოუთვლიათ
ადარ გვიხსენოთ ცეკაო,
თქვენს სკამუკეებს მიხედეთ,
ჩვენ ჩვენი უნდა გვეკაოს;

გარბაჩოვი რომ აორთქლდა,
ხომ გაჰყვა სსრკ-აო,
ქვე ვინ რასა სთხოვს რაჭველებს
მოგვწყინდა თქვენგან რეკვაო,

ონი და ამბროლაური
ყოველ ცისმარე დღესაო
თავისუფლებას ზეიმობს
ვფიცავართ ზეციერსაო,

სალოცავენსაც შევთხოვეთ,
ჩვენ ვერ დავარღვევთ წესსაო,
უფალმაც ჩაგვიპაჭუნა
ჭედილას უკლავთ დღესაო,

თბილისელებს ჩვენ არა ვთხოვთ
არა გვარ ავტონომიას,
არ შემოგვტენონ რაჭველებს
ბოროტთა მონაგონია,

თუ ნინო, მიშა, ზურიკო,
ედოსგან სიტყვას ელიან
კრწანისში კაცი აფრინეთ
არ შეგვიშალოს ხელია.

ჩვენ საზღვრებს ჩვენვე მივხედავთ,
რაჭველი კაცი ბრძენია,
ვინც მაქეთ გზა დაგვიგრძელა
დაუმოკლდება დღენია;

გვაქვს დასაკვებნი ბევრი რამ...
არაფერს დაგესესხებით,
თქვენ ამერიკის წყალობით
თუ გიდიმლამოთ ფესვები...
და თუ არ გყოფნით საჭმელად
უნდა დაიჭრათ ეშვები.

არ გამოგზავნოთ რაჭაში
ცრუ, თქვენი ბიზნესმენები,
ვინც რა საქმისთვის დაძვრება
აქაც ჩამოდის ენები,
რაჭაც არ გაანაპიროთ
გთხოვთ: დაიმოკლოთ ხელები.
არჩილ ბიჭაშვილი.



„ია ვარდში გახვეულო
ჩემო ტკბილო საქართველო“

იყო დიდი საქართველო

და...

მე თუნდ ჩემი სიცოცხლის ფასად
გამოძახილზე მუდამ ვარ სმენად, თუ
როგორ ისმის თამარის არხთან
ჭოროხის შვილის ქართული ენა,
თუნდაც იმიტომ რომ ჩემი ქვეყნის
ძველის თუ ახლის წარსულის ნაცვლად
ჩემი სამშობლოს მომავლის ბედთვის
დე, იყოს ჩემი სიცოცხლის გაცვლაც,
და თუ მე ქართველს თქვენი ხმაც მერთვის,

მავნე წარსულის ორ დევნას არ ჰგავს,
ორივეს ერთად მხოლოდ ის გვეთქმის
საყდარი დედის მეტი ჩვენ არ გვაქვს,
გვქონდა სოფელი _ მეტად ლამაზი,
ინგილო კაცთა, ინგილო ქალთა,
შეყვარებული ერეკლე მეფის
განუყოფელი სისხლით ჩვენს გვართთგან,
დიახ, ჩვენ გვაწევს სიმძიმით ლოდი,
და, რაც დრო ჰქრება, მძიმდება აღქმაც
თუ ვის შეეძლო შემობრუნება
ისევ ქართველთგან, სამყაროს კაცთგან,
მე მეტის თმენით სიცოცხლე დამდნარს
უფალო ღმერთო, შემინდობ ალბათ,
შემიკოწიწე ქვეყანა ჩემი
აღმოსავლეთ მზის სამოთხის კართან.

არჩილ ბიჭაშვილი



«არ დაიდარდო დედაო»

პატარა მიწის ქვის ლოდზე
ამოტვიფრული სახელის
დავკეცე ერთი ფურცელიც
წინ, კიდევ სხვა მაქვს სათქმელი.

არჩილ ბიჭაშვილი.



სარჩევი

ციტატა, ქვეყნის მდგომარეობა	2
სატიტულო გვერდი	3
ციტატა, რელაქტორი-მეგრელი	4
ციტატა, არჩილ ბიჭაშვილი	5
ლექსი „დავწერე ესე მე ლექსი“	6
წიგნის კითხვა ხელოვნება	7
ადამიანს სჭირდება სოციალური პირობები	8
შევახსენებ ქართველ პოლიტიკოსებს	9
წერილი რუსეთის პარლამენტს	10-22
ლექსი „ლენინი და ქართველები“	23
წერილი რუსეთის პარლამენტს	24-49
ქერჩის პლაცდარმა	50
აქ განისვენებს ჩემი მამა	51
ლექსი „დედა ტიროდა“	52-53
წერილი რუსთის პარლამენტს	54-58
ლექსი „მშრომელი ხალხის ბელადები“	59
წერილი რუსეთის პარლამენტს	60-67
ნორმალური ქვეყნის პირველპირთა საყურადღებოთ	68-70
იოსებ სტალინი	71-72
„დავით აღმაშენებელი“ აზრით ჩემით რეალობამდე	73-75
დროშების კალთებს ესვენა	76-77
ხიდი ლავრენტი ბერიას ჩაუტყდა	78
სოსო ჯუღაშვილი „ლექსი დილა“	79-81
სსრ კავშირი განმტკიცების ფრაზაში	82-84
„ვინ მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“	85
ბელადი ხალხის მსახური	86-87
მემუარებიდან	88
„შაირსიტყვითა მესტვირემ“. სამი ქართველიც ახსენა	89-90
სტალინი ჩიბუხით	91-92
ლავრენტი ბერიამ	93-97
ჯაშუშ დივერსანტები უნდა დაიხვრიტონ 1937წ.	98-99
სათქმელი უნდა ითქვას	100-104
იგი მსოფლოს ლეგენდაა	105
დასანანია რომ:	106-107
ათი დღე იაპონიის დასამარცხებლად	108-109
ამბობდნენ ასე:	110-111
ლექსი „ძეგლები ქარა“	112-113
ლექსი „ხალხისთვის“	114-115
საქართველოს ჰიმნი 1948წ.	116-117
ლექსი „პატარა გორი“	118
ლექსი „ძველი გორი“	119
გენერალისიმუსი მარშლებითურთ	120
უნდა გვახსოვდეს	122-124
ლექსი ნ.ს. ხრუშოვი საქართველოში	125-129
წერილი რუსეთის პარლამენტს	130-132
წერილი რუსეთის პარლამენტს	133-135
უცოდველი კრავების საყურადღებოდ	136-138
ეროვნულ მოძრაობას მიტმასნებულნ	139

დღეს შევარდნაძე რომ არ მიმჩნია ხელწამოსაკრავად	140
შეწყვეტილი გზა	141-157
ლექსი „სიცოცხლე პლანეტის ნებაა“	158
დიახ...	160-161
შევარდნაძე სსრკის სს მინისტრე	162-165
ლექსი, ყამირ მიწებზე შევარდნაძესთან ერთად.	166-170
ჩემი გამოგონება გაზეთი თბილისი 1979წ.	171-172
ლექსი „შევარდნაძემ შემიტანა მე ორასი ტონა პური“	173-174
ედიკა და მისიონერები	175-182
ლექსი „კრემლის ვასალი“	183
ლექსი „გმირის ვარსკვლავით“	184-186
უტყუარი „საღდატია“	187-190
ლექსი „ვაი შენ ჩემო საქართველო“	191-196
არასრული ჭკუის სპეკულიაცია	197-199
პლანეტის უმდიდრესი ქართველები	200-213
ლექსი „ეგოისტი“	214
აქ ძაღლის თავია!	215-219
შაღვა ნათელაშვილი	220-221
ვარდები უეკლოდ არ იკრიფება	222-224
ლექსი „ვარდების რეკოლუცია“	225
ლექსი „ნინოს“	226-227
საქართველოს სულ სხვა რელსებზე შევაგდებთ	228-230
ლექსი „სამშობლო“	231-236
საქართველოს მაღაზიები იხურება	237-239
ლექსი სიზმარი სინამდვილისა	240-241
ძველი თბილისი	242-243
ლექსი „ჩემი თბილისი“	244-245
ლექსი „გზა მოვნახოთ“	246-248
ლექსი „დიპლომანი“	249
ლექსი „ლედი ჩემი კლასელი“	250
ლექსი „რაჭველის ნათქვამი“	251-252
ლექსი „აფხაზეთიდან დევნილებს“	253-255
ლექსი „ქალი რაჭველი“	256-258
ლექსი „ქალი რაჭველი“	259
ლექსი „იქ სადაც იშვა შრომის სამართალი“	260-262
პატრიარქი	263
ლექსი მესხეთ ჯავახეთი	264
სტუმრად ხმესხეთში	265-268
ლექსი „კახეთი თბილისელის თვალთ“	269-273
ლექსი „გურიაში მივალ მარად“	274-275
ლექსი „იმერეთი“	276
ლექსი „თუშეთი ფშავხევსურეთი“	277-280
ლექსი „შენ ბათუმო საყვარელო“	281
ლექსი „ჩემი სამეგრელო“	282-283
ლექსი „სადღეგრძელო ჩემი ქალის დაბადების დღეზე“	284
ლექსი „საშაქარლაძო ფაბრიკაში“	285-286
ლექსი „მღელვარე და მჩქეფარე“	287-288
ლექსი „ჩურჩულით მითხარ“	289
ლექსი „წერილი სვანეთიდან“	290-291
ლექსი „რაჭველებს შემოუთვლიათ“	292-293
ლექსი „იყო დიდი საქართველო“	294-295
ლექსი „არ დაიდარლო დედაო“	296-297

არჩილ ბიჭაშვილი


ბორთვება და სიყვარული

წერილები
ლექსები

თბილისი
2009

მხატვარი: ნიკო ხერკელაძე
ტექნიკური რედაქტორი: პროფესორი
მაღვა სიჭინავა
კორექტორი აკადემიკოსი მწერალი
ნათელა გოხელაშვილი

ფასი სახელშეკრულებო



თბილისი
2009წ.